



სამედიცინო გაზეთი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის გამომცემი
გამომცემი 1957 წლიდან
№4 (312) აპრილი, 2018 წელი



მადლობელი ვარ ყველაფრისთვის, რაც პროფესორმა კენ ვოლკერმა ჩვენი ქვეყნისა და უნივერსიტეტისთვის გააკეთა. ქართველი ექიმების დიდი არმია სამუდამოდ მადლიერი იქნება მისი. პროფესორი ვოლკერი სამარადისოდ დარჩება ჩვენს მესხიერებაში თავისი კეთილი ღიმილით.

პროფესორი ზურაბ ვადაცკორია,
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი

ჩვენ ვემშვიდობებით დიდ ადამიანს, საქართველოსა და თბილისის საპატრიოტო მოქალაქეს, ჩვენი ქვეყნის და უნივერსიტეტის ერთგულ მეგობარს... სამედიცინო უნივერსიტეტი მუდამ მადლიერი იქნება პროფესორ კენ ვოლკერის იმ ღვაწლისთვის, რაც მან დასდო ჩვენს ქვეყანას და უნივერსიტეტს. ყველასთვის კარგადაა რწობილი, თუმცა მან ის მისდამ ალენიძე, რომ დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა, რომლითაც ჩვენ ვამაყობთ და, ხმაშალოა ვიცყვი, რომლის ახალგაზრდობა არ არის არაფერ საქართველოში, არამედ ამიერკავკასიასა და პოსტსაბჭოთა სივრცეში, ბატონი კენის დამსახურება!

პროფესორი ზურაბ ორუონიკიძე,
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კანცლერი

არც ქართულ და არც სხვა ენაში არ არსებობს სიტყვა, რომელიც აღნიშნავს მასწავლებლის, მენტორის გარდაცვალებას. ალბათ იმიტომ, რომ ესეუ ობლობა და აღარ არის ახალი სიტყვა საჭირო. მე გარდაემეცვალა მასწავლებელი, რომლისგანაც მთელი რხოვრება ვსწავლობდი... ვსწავლობდი სიტყვის კეთებას, რომელიც მისი არსებობის მიზანი იყო.

პროფესორი რიმა ზურაბიძე,
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი

ძალიან იშვიათად შემხვედრია ადამიანი, რომელშიც შერწყმული ყოფილა ასეთი ურთიერთსანიხალმდევო თვისებები: ერთი მხრივ, სიღარბისლო და სიბრძნე და, მეორე მხრივ, ასეთი ახალგაზრდული შემართება: რივი, ზუსტი, რაწიონალოური აზროვნების უნარი და, ამავე დროს, იდეალიზმი, რაც მას ახასიათებდა: ნამდვილი ღენდის გარეგნობა და ქრევა და, მეორე მხრივ, უშუალოება, უბრალოება, ნამდვილი კარმომოყვარება...

პროფესორი ხათუნა თოდაძე,
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი

ვსუხვარ ისევე, როგორც თითოეული თქვენგანი... კენი დღეს თქვენით ძალიან ამაყი იქნებოდა... ის ყოველთვის ამტკიცებდა, რომ თუ ქვეყანას პყავს ძლიერი ექმენები და საექთნო სამსახური, მას მთელი ჯანდაცვის სისტემის განვითარება ძალაუნებურად მიჰყვება. ჩვენ, ყველანი, ამაყები ვართ იმით, რაც ემორიმ გააკეთა საქართველოსთვის. კენ ვოლკერის უშუალო ძალისხმევით პოსტსაბჭოთა სივრცეში საქართველოში დიპლომისმემდგომი და უწყვეტი საგანმანათლებლო პროგრამების ფუნქციონირება პირველად საქართველოში დაინსო.

არჩილ უნდილაძე,
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის ხელმძღვანელი

ბატონ კენს ერთი გამორჩეული თვისება ჰქონდა: უშურველად ეხმარებოდა ნებისმიერ ადამიანს. გარდაცვალებამდე სულ რამდენიმე დღით ადრე გეგმავდა ემორის უნივერსიტეტში ჩვენი ერთ-ერთი კურსდამთავრებულის საოპერაციოდ გამგზავრებას სრულიად უსასყიდლოდ.

პროფესორი ირაკლი კობრიძე,
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია 24 თებერვლიდან 3 მარტის ჩათვლით ოფიციალური მიწვევით იმყოფებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ატლანტაში, ემორის კურსდამთავრებულთა ასოციაციის დაჯილდოების ცერემონიაზე დასასწრებად.

ასოციაციამ 2018 წლის ოქროს მედლით დააჯილდოვა კენეტ (კენ) ვოლკერი და ემორის უნივერსიტეტის სამი ექთანი, რომლებმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ებოლათი დაავადებული პაციენტების მკურნალობაში. აღსანიშნავია, რომ ამ პაციენტების მკურნალობა და განკურნება პირველად სწორედ ემორისში და სწორედ ამ ექთნების მიერ გახდა შესაძლებელი. უმაღლესი ჯილდო პროფესორ ვოლკერს ემორის უნივერსიტეტისა და გლობალური ჯანმრთელობის საზოგადოებაში შეტანილი უდიდესი ღვაწლისთვის ერგო. საპატიო ჯილდოს პრეტენდენტად კენ ვოლკერი ასოციაციამ ჯერ კიდევ მის სიცოცხლეში გამოაცხადა. შინაგანი მედიცინის პროფესორი გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე დაგეგმილი ღონისძიებისთვის განსაკუთრებულად ემზადებოდა. კენ ვოლკერმა დიდი გავლენა მოახდინა გლობალური ჯანდაცვის სფეროზე, - ნათქვამია ემორის კურსდამთავრებულთა ასოციაციის ლია ნერილო. 1 მარტს, უმაღლესი ჯილდო კენეტ ვოლკერს უკვე გარდაცვალების შემდეგ გადაეცა.



ემორის კურსდამთავრებულთა დაჯილდოებაზე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია იყო მიწვეული, მას ახლდა მუხომე - პროფესორი მარინა მამალაძე, რომელიც ოფიციალური მიწვევით იმყოფებოდა ემორის უნივერსიტეტში OSCE-ის და კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრის გასაცნობად. ემორის მედიცინის სკოლის დეკანმა, ვიკას სუხათიმომ, ოქროს მედალი კენეტ ვოლკერის ნაცვლად მის მთავარ პარტნიორს, არჩილ უნდილაშვილს გადასცა. ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის საგანმანათლებლო პროგრამების დირექტორმა და თსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის ხელმძღვანელმა ცერემონიაზე შეკრებილ სტუმრებს სიტყვით მიმართა: „ეს არის უდიდესი პატივი და პასუხისმგებლობა. ვნუხვარ ისევე, როგორც თითოეული თქვენგანი, რომ პროფესორმა ვოლკერმა ამ ცერემონიაზე დასწრება ვეღარ შეძლო. მინდა მადლობა გადავუხადო და მივულოცო ექთნებს დამსახურებული ჯილდო და აღიარება. კენი დღეს თქვენთან ძალიან ამაყი იქნებოდა, რადგან ის ყოველთვის ამტკიცებდა, რომ თუ ქვეყანას პატივი უნდა მიუძღვნას და საექთნო სამსახურში, მას მთელი ჯანდაცვის სისტემის განვითარება ძალაუვნებურად

მიჰყვება. ჩვენ, ყველანი, ამაყები ვართ იმით, რაც ემორიმ გააკეთა საქართველოსთვის. კენ ვოლკერის უშუალო ძალისხმევით პოსტ-საბჭოთა სივრცეში საქართველოში დიპლომის შემდგომი და უწყვეტი საგანმანათლებლო პროგრამების ფუნქციონირება პირველად საქართველოში დაიწყო. მან დააარსა საქართველოში საქეთნო სასწავლო ცენტრი. მინდა, ამ საპატიო ჯილდოსთვის, კენ ვოლკერის, მისი ოჯახის, მეგობრების და კოლეგების სახელით, დიდი მადლობა გადავხადოთ ყველას! განსაკუთრებული მადლობა ემორის უნივერსიტეტის პრეზიდენტს, ქალბატონ ნენსი სტერკს, სამედიცინო სკოლის დეკანს, პროფესორ ვიკას სუხათიმოს, მედიცინის სკოლის ხელმძღვანელ პირებს, კენის თანამშრომლებსა და მეგობრებს. უღრმესი მადლობა ამ დაფასებისთვის!“


პროფესორ კენეტ ვოლკერის გარდაცვალება თანაბრად განიცადა ყველამ საქართველოშიც და ამერიკის შეერთებულ შტატებშიც. მაშინ, როდესაც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები, ადმინისტრაციის წარმომადგენლები და სტუმრები თსუ-ის საპატიო დოქტორის გამოსამშვიდობებელ საღამოზე შეიკრიბნენ, აშშ-ში, ჯორჯიის შტატის პატარა ქალაქ ვაშინგტონში, კენეტ ვოლკერს უკანასკნელ გაზაზე კოლეგები და ახლობლები მიაცილებდნენ. სამგლოვიარო ცერემონიაზე გამოსამშვიდობებელი სიტყვა თსუ-ის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ წარმოთქვა: „მადლობელი ვარ ყველაფრისათვის, რაც პროფესორმა ვოლკერმა ჩვენი ქვეყნისა და უნივერსიტეტისთვის გააკეთა. მან არა მარტო დიდი ღვაწლი დასდო სამედიცინო განათლების განვითარებას საქართველოში, არამედ თავისი დახვეწილი პიროვნული თვისებებით წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ყველაზე, ვისაც ერთხელ მაინც ჰქონდა ბედნიერება მასთან ახლო ურთიერთობისა. პროფესორი კენეტ ვოლკერი სამაგალითო იყო არა მარტო მაღალი პროფესიონალიზმით, არამედ სულიერებითაც... ამაზე უამრავი ქართველი სტუდენტი, ექიმი და აკადემიური პერსონალი გაიმბობთ, ამისი დასტურია მათი გულწრფელი სიყვარული და დიდი ტკივილი ბატონი კენის გარდაცვალების გამო. მარტო დღეს კი არა, მომავალშიც - ქართველი ექიმების დიდი არმია სამუდამოდ მადლიერი იქნება მისი. პროფესორი ვოლკერი სამარადისოდ დარჩება ჩვენს მეხსიერებაში თავისი კეთილი ღმერთი“. თსუ-ის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ ატლანტაში ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის საგანმანათლებლო პროგრამების დირექტორთან, არჩილ უნდილაშვილთან ერთად, შეხვედრები გამართა უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ხელმძღვანელებთან: მედიცინის სკოლის დეკანთან - ვიკას სუხათიმოსთან, აღმასრულებელ ასოციირებულ დეკანთან - ბილი

ელისთან, ასისტენტ დეკანთან - გორდონ ჩარჩორთან, ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ემერიტუს დეკანთან - ტომას ლოლისთან, ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის დეკანის ყოფილი მუადილესთან - კლაუდია ატკინსონთან და ემორის უნივერსიტეტში მოღვაწე ქართველ პროფესორებთან, ექიმებსა და რეზიდენტებთან.

პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ და ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის დეკანმა, ვიკას სუხათიმომ, ისაუბრეს, ერთი მხრივ, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტსა და ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლას შორის, თსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის ფარგლებში, ურთიერთთანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავებაზე და, მეორე მხრივ, ჯანდაცვის სფეროს სხვა მიმართულებების განვითარებაზე, მათ შორის, ფიზიკური რეაბილიტაციის პროექტის განხორციელების შესახებ საქართველოში: 2017 წელს USAID-ის მიერ გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვების შემდეგ ემორის უნივერსიტეტმა თსუ-ის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალთან, კორპორაცია „პარტნიორები საერთაშორისო განვითარებისათვის“ საქართველოს წარმომადგენლებასა და ორგანიზაციას - „კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“ ერთად საქართველოში რეაბილიტაციის დარგის განვითარება დაიწყო. პროექტის განხორციელება პროფესორმა კენეტ ვოლკერმა თავის გუნდთან ერთად წარმატებით დაიწყო 2018 წლის ოქტომბერში.



პროფესორ კენეტ ვოლკერის დაკარგვასთან და აშშ-ში ვიზიტთან დაკავშირებული ინფორმაცია მოგვამოდო USMD პროგრამის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა, ნინი ზარდიაშვილმა



სიკეთე საზღვრებს გარეშე

იქცევა კენ ვოლკერის ნათქვამი სიტყვები


სხვანაირად აღქმამი გვეხმარებინან. ასეთი ადამიანები გვცვლიან და გვზრდიან და - მუდმივად გვაკვირვებენ. კენ ვოლკერი სწორედ ასეთი გამორჩეულად განსხვავებული ადამიანი იყო. კენი იყო ინტელექტუალი, რომელიც „ოდნავ უფრო ნიწ ან ოდნავ უფრო განზე“ გადგომას კი არ ახდენდა მოვლენების განვითარების დროს (რასაც ინტელექტუალს უპატივებულ ცოდვად უთვლიან ყველა ემოქაში), არამედ მთლიანად თავის თავზე იღებდა სიკეთისაკენ შემობრუნებისა და ცვლილების პასუხისმგებლობას და შედეგიც ყოველთვის განუმეორებელი იყო. ამ ადამიანს ეხალისებოდა და გამოუდიოდა სიკეთის კეთება და ამ პროცესში თავის უდიდეს დანიშნულებას პოულობდა. კენ ვოლკერმა დიდი გავლენა მოახდინა გლობალური ჯანდაცვის სფეროზე, მაგრამ სიკეთის ობიექტად და გამტარად მაინც ჩვენ, ქართველები, ამოგვიჩნია. საქართველოში ჯანდაცვის

და სამედიცინო განათლების განვითარებაზე ზრუნვაში, ქართველი ექიმების მეგობრულ დახმარებასა და მხარდაჭერაში მას ანალოგი არ მოეპოვება. კენ ვოლკერს განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის გადამზადებაში და ახალგაზრდა სპეციალისტების მრავალი თაობის აღზრდაში, ქვეყანაში გადაუღებელი მედიცინისა და საექთნო საქმის განვითარებაში, ზოგადად, ქვეყნის ჯანმრთელობის დაცვის სისტემის განვითარებაში. კენ ვოლკერის ინიციატივით დაარსდა საქართველოში პირველი სასწავლო ელექტრონული მართვის ცენტრი, თსუ-ში ემორის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლასთან თანამშრომლობის საფუძველზე შეიქმნა დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა. 2017 წლიდან ის შეუდგა ფიზიკური რეაბილიტაციის პროექტის განხორციელებას საქართველოში. კენი მუდმივად მომავალზე ორიენტირებული იდეალისტი იყო, რომელიც თავისი წარმოდგენის ჩარჩოვებში გარეთ გასვლის ნიჭით ახალი იდეების გენერირებასა და ახალი შესაძლებლობების დანახვაში გვეხმარებოდა. ჩვენი ვალია ყოველდღიური მრავალფეროვნებაში ხშირად შევჩერდეთ იმ გამოცდი-

ლებზე, რომლებმაც თავისი სიკეთით აგვადლევენ და დაგვაფიქრეს! კენმა რალაც სრულიად ფუნდამენტური გვეასწავლა: რომ სიკეთის კეთებაში განუსაზღვრელი ძალაუფლება! მადლობას ვუხდით კენ ვოლკერს აღმადრენისთვის, გარდაქმნისთვის, სიყვარულისთვის... მარადიული ახალგაზრდული შემართებისა და შთაგონებისთვის! ის ჩვენში მარადიულად კი არ იცოცხლებს, მარადიულად დაიბადება!

პროფესორი რიბა პერიაშვილი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი

90-იანი წლების დამოუკიდებელ საქართველოში, ტოტალური უშუქობისა და პურის რიგების პერიოდში, არავინ ელოდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ქვეყანაში ჯანდაცვის რეფორმისა და ახალი კადრების მომზადებისთვის ისეთ პროვინციას გამოუშვებდა, როგორც კენეტ (კენ) ვოლკერი იყო. არც კენი ელოდა, რომ საქართველო და ქართველი ხალხი ასე შეუყვარდებოდა და ამ პატარა ქვეყანაზე ზრუნვასა და მუდმივ მფარველობაში გალევდა ნუთისოფელს. ამ უკიდურეს საფარში, ალბათ, ბევრნაირი კარგი და გამორჩეული ადამიანი არსებობს, მაგრამ მათ შორის არიან არაორდინარული ადამიანებიც, რომლებიც თავიანთი საქციელით თავდაყირა აყენებენ ჩვენს, ხშირად, სტერეოტიპულ მსოფლმხედველობას; სხვა რაკურსით, სხვანაირად გვაჩვენებენ უნივერსალური ღირებულებების სიღიადეს და, ზოგადად, საყაროს



ლია კარის დღე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში



18 მარტს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ლია კარის დღე გაიმართა აბიტურიენტებისთვის. ლია კარის დღეზე მისულ სტუმრებს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და აქ მოქმედი სასწავლო პროგრამების შესახებ დანერვილებითი ინფორმაცია მიანოდა თსსუ-ის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ. ასევე, მათ საინტერესო კითხვებზე პასუხი მიიღეს გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრის თანამშრომლებისგან. აბიტურიენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ ჩართულიყვნენ საინტერესო და სახალისო აქტივობებში.



ERASMUS+ -ის ფანბლები



საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი ქეთევან დევიძე; თსსუ-ის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკის გენერალური დირექტორი, ასოცირებული პროფესორი ლია ძიძიგური; ბავშვთა ნერვულ სნეულებათა დეპარტამენტის პროფესორი ნანა გელაძე და საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მენეჯმენტის მე-6 სემესტრის სტუდენტი თამარ მაზიაშვილი. თსსუ-ის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ, აღნიშნა, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ტულუზის პოლ საბატიერის უნივერსიტეტთან ხანგრძლივი თანამშრომლობა და მეგობრობა აკავშირებს. გასული საუკუნის ბოლოდან მოყოლებული, სხვადასხვა გაცვლითი პროგრამების, მემბერში ERASMUS MUNDUS-ის პროგრამა MEDEA-ს, ახლა კი უკვე ERASMUS +-ის ფარგლებში, თსსუ-ის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები და რეზიდენტები მონაწილეობენ ერთობლივ და გაცვლით პროგრამებში. ფრანგმა სტუმრებმა მაღალი შეფასება მისცეს ტულუზის პოლ საბატიერის უნივერსიტეტისა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თანამშრომლობას, იმედი გამოთქვეს, რომ ეს ურთიერთობა კიდევ უფრო განვითარდება და მასშტაბური გახდება.

მიმდინარე წლის 12 აპრილს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ეწვივნენ: ტულუზის პოლ საბატიერის უნივერსიტეტის (საფრანგეთი) ERASMUS + -ის ევროპული პროექტების ხელმძღვანელი ანჟელა მოკა ლისიარდი და ERASMUS + -ის პროექტების ხელმძღვანელები: ელოდი ბალონასი და სესილია ინოუოსა. სტუმრებს შეხვდნენ: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორი; ვიცე-რექტორები: პროფესორი ხათუნა თოდაძე და პროფესორი რიმა ბერიაშვილი; ეპიდემიოლოგიისა და ბიოსტატისტიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი ელენე ფაღავა; ფარმაცოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი ლაშა მსხილაძე; რექტორის აპარატის უფროსი ირინა კაპატივაძე; ERASMUS + ოფისის კოორდინატორი ნინო კანდელაკი;

მასტერკლასი თემაზე — Polytech-ის იმპლანტები კუქს რეკონსტრუქციაში

2018 წლის 1-4 აპრილს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორმა, ონკოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებულმა პროფესორმა, თსსუ-ის ონკოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელმა ირაკლი კობრიძემ, კომპანია Beauty&Health LLP მიწვევით, ქალაქ შიშკენცში (ყაზახეთი), სამხრეთ-ყაზახეთის საოლქო ონკოლოგიურ დისპანსერში, ჩაატარა სამეცნიერო-პრაქტიკული მასტერკლასი თემაზე: - Polytech-ის იმპლანტები ძუძუს რეკონსტრუქციაში.



მასტერკლასი-კონფერენცია საზეიმოდ გახსნა ყაზახეთის ონკოლოგიისა და რადიოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა, ყაზახეთის მთავარმა ონკოლოგმა, აკადემიკოსმა დილიარა კაიდაროვამ. ასოცირებულმა პროფესორმა ირაკლი კობრიძემ წარმოადგინა ორი ლექცია, რომელიც ეძღვნებოდა Polytech-ის იმპლანტების გამოყენების გამოცდილებას ძუძუს რეკონსტრუქციაში და თანამედროვე მიდგომებს სარძევე ჯირკვლის ორგანოს შემანარჩუნებელ მკურნალობაში. ვიზიტის მსვლელობისას, ირაკლი კობრიძემ და დილიარა კაიდაროვამ ჩაატარეს ერთობლივი შეშოვლა, გაეცნენ ონკოლოგიური დისპანსერის მუშაობის სპეციფიკას, შეაფასეს პაციენტების-

თვის მიწოდებული მკურნალობის შესაბამისობა თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებთან. ასოცირებულმა პროფესორმა ირაკლი კობრიძემ, ყაზახ კოლეგებთან ერთად ჩაატარა ორი საჩვენებელი ოპერაცია; ონკოპლასტიკური ქირურგიული ტექნიკის გამოყენებით შესაძლებელი გახდა ორივე შემთხვევაში ორგანოს შემანარჩუნებელი ოპერაციის ჩატარება ონკოლოგიური ქირურგიის პრინციპების სრული დაცვითა და კარგი კოსმეტიკური შედეგით. სამხრეთ-ყაზახეთის საოლქო ონკოლოგიური დისპანსერის დირექტორმა, საკენ კატბაევამ, მადლობა გადაუხადა პროფესორ ირაკლი კობრიძეს განუვლი დახმარებისთვის და სამომავლო ურთიერთთანამშრომლობის სურვილი გამოთქვა.

ჩვენი ენა ქართული

ქართული ენის ცენტრი არაერთი საინტერესო ღონისძიების ორგანიზატორია, ერთერთი ღონისძიება 14 აპრილს — ქართული ენის დღეს მიეძღვნა, რომელშიც მონაწილე-

ობდნენ მოსამზადებელი სწავლების სომხურენოვანი (3 ჯგუფი) სტუდენტები. შეკრებას ხელმძღვანელობდა ცენტრის დირექტორი, პროფესორი დარეჯან კუხიანიძე.



სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში — სამოქალაქო ინტეგრაციის და ტოლერანტობის ცენტრთან კონსულტაციებითა და ჩართულობით 2010 წელს ამოქმედდა მოსამზადებელი კურსი — ქართული ენის სწავლება ეროვნული უმცირესობისთვის — სომეხი და აზერბაიჯანელი ახალგაზრდებისთვის. წელს, ცენტრში 75 მსმენელი სწავლობს (44 — აზერბაიჯანელი, 31 — სომეხი). „დღევანდელი დღე მოკრძალებული ზეიმი“. მო-

სამზადებელი სწავლების სომხურენოვანი ჯგუფების სტუდენტებმა პატივისცემა გამოხატეს ქართული ენისადმი, ამ დღისთვის ისინი მონაწილეობდნენ და სიყვარულით ემზადებოდნენ. შედეგები ვამაყობთ ამ ახალგაზრდებით. მათ შესანიშნავად შეისწავლეს ქართული ენა, რაც სამომავლო წარმატებების საფუძველი იქნება“ — აღნიშნა ქალბატონმა დარეჯანმა. სტუდენტებმა წაიკითხეს: ქართული პოეტების ლექსები, ქართულ ცეკვას სიმღერა ენაცვლებოდა, თითოეული გამომსვლელისგან სიყვარული და პატივისცემა იგრძნობოდა საქართველოსა და ქართული ენისადმი. ღონისძიება ამაღლებული განწყობით დასრულდა. სტუდენტებმა მადლიერება გამო-



ხატეს ცენტრის დირექტორის, პროფესორ დარეჯან კუხიანიძის, მოწვეული პედაგოგების: მზია მენგელიას, თამარ კანთელაძის მიმართ. ქართული ენის ცენტრი ხომ ქართული ენის შესწავლასთან ერთად, მათ საქართველოს და ერთმანეთის სიყვარულსაც ასწავლის.

